პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 ივლისი, კვირა, 1987 წ.
№ 139 (9550) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

1917 — 1987
ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

საქართველოს სპორტსმენთა ეროვნული

● **სპორტული ტანვარჯიში.** ბათუმი. **ოქროს მედალი** — **ნინა ბარამიძე** (ტაიჭი), **ოქროს მედალი** — **გიორგი კოსტანიანი** (ბჯენითი ხტომები), **ბრინჯაოს მედალი** — **სოფიკო მანაგაძე** (ბჯენითი ხტომები), **ნიკა ბარამიძე** (ბჯენითი ხტომები); **ვალერი ობანეზოვი** (რგოლები).

ᲩᲐᲜᲛᲝᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲛᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘᲡᲒᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ

„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი ლევან ჯაფარაძე ბათუმიდან ტელეფონით გვატყობინებს:

პირველი თანრიგის პროგრამა 1.-2. ნატალია ჩერნენკო („შრომითი რეზერვები“), ნატალია ბელოვა (პროფკავშირები-II) 19,4-19,4; 3. რიმა გუბეიჩიკი (პროფკავშირები-II) — 19,05 6. ლიანა აბდუშელიშვილი — 18.75. 8. სოფიკო მანაგაძე — 18.7.

სპორტის ოსტატობის კანდიდატობის პროგრამა: 1. ნატაშა პიატკოვსკაია (უკრაინის განათლების სამინისტრო) — 19,25; 2. ნერინგ ზარაუსკაიტე („შრომითი რეზერვები“) — 19,0; 3. ვიქტორია ტკაჩოვა (პროფკავშირები-II) — 18.9 8. ქეთინო ონიკაური — 18,25.

სპორტის ოსტატობის პროგრამა: 1. სვეტლანა ივანოვა (უკრაინის განათლების სამინისტრო) — 21,0; 2. იულია კუტი (საბჭოთა არმია) — 21,2; 3. ლიუდმილა სტოგბატაია (საბჭოთა არმია) — 20,0.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან მრავალჭიდში 74.4 ქულით მე-8 ადგილზე გავიდა ... ველთანრიგოსანი სოფიკო მანაგაძე, მე-16 იყო მზია აბდუშელიშვილი, რომელმაც 72,15 ქულა მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ სოფიკო მანაგაძე მისი ასაკის სპორტსმენთა საკავშირო ნაერბში იყვანეს. ოსტატობის კანდიდატობის პროგრამით მოასპარეზეთა შორის 70,35 ქულით მე-13 ადგილი დაიკავა ქეთინო ონიკაურმა. სპორტის ოსტატობის პროგრამით მე-21 ადგილზე გავიდა სტელა დავიდოვა — 71,65, 24-ე იყო ნორა სალაკაინი — 69,1, 25-ე — მაია გოლრგაძე — 69,0.

საერთო გუნდური შედეგები: 1. საბჭოთა არმია — 403,45 ქულა, 2. რსფსრ-ის განათლების სამინისტრო — 400,46, 3. პროფკავშირები-II — 398,35... 10. საქართველო — 380,45.

ვაჟთა ასპარეზობის შესახებ დაწვრილებით „ლელოს“ შემდეგ ნომერში გესაუბრებით.

ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნელი კიმი:

— **ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე გოგონების დონე, ჩემი აზრით, დღეს საკმაოდ მაღალია. გულახდილად გეტყვით, როდესაც ამ ასაკში ვიყავი, ამგვარი სიმრთელე ილეთები არც დამესიზმრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთა გუნდმა უკანასკნელი ადგილი დაიკავა, მაინც მომეწონა მისი ცალკეული წევრების, განსაკუთრებით სოფიკო მანაგაძისა და ლიანა აბდუშელიშვილის გამოსვლა. მათ კარგი ტექნიკა აქვთ, ხალისი და შემართება იგრძნობა ნორჩების ყოველ მოძრაობაში. ოღონდ ახლევე გაცილებით მეტი შრომისმოყვარეობა და შემართება მართებთ საწვრთნელი ვარჯიშების დროს.**

ᲚᲔᲘᲚᲐ ᲛᲔᲡᲮᲛᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲒᲕᲐᲮᲐᲠᲐ

ზაგრები. სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე თბილისელმა ჩოგბურთელმა ლეილა მესხმა ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. პირველი ჯილდოს შესახებ უკვე გაცნობეთ: ლეილამ იგი ერთეულთა თანრიგში დაისაკუთრა. მეორე უმაღლესი ჯილდო მან მოსკოველ ვიქტორია მილვიდსკაიასთან ერთად მიიღო წყვილთა ფინალში გამარჯვებისთვის (ჩვენმა დუეტმა ჩეხოსლოვაკიელები ივა ბუდაროვა და ნორა ბაჟეიკოვა 7:5 და 6:2 დაამარცხა). ვერცხლის მედალს კი მოსკოველ ანდრეი ოლხოვსკისთან ერთად დაეუფლა შერეულ წყვილთა გადამწყვეტი შეხვედრის დამთავრების შემდეგ (აქ საბჭოთა ჩოგბურთელები იუგოსლავიელებმა სანინე ვოლესმა და ბრუნო ორესარუმ დაამარცხეს — 6:2, 6:3).

ვაჟთა ერთეულებში ბრინჯაოს პრიზიორი რიგელი გირტს ძალდე გახდა, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა კუბელ ტაბარესს მოუგო.

უნივერსიადის ბოლო სტარტები დღეს გაიმართება.

ჯერჯერობით მეექვსეობას რაოდენობით დაწინაურებულია საბჭოთა ნაკრები, თუმცა ამას უფრო თვალნათლივ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნახავთ:

	ო.	ვ.	ბ.
სსრ კავშირი	22	29	16
აშშ	20	16	21
რუმინეთი	14	10	9
იტალია	8	6	8
ჩინეთი	7	8	11
იუგოსლავია	5	4	2

Орган Центрального Комитета ВЛКСМ
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ᲪᲘᲢᲐᲢᲐ

დასასრული უახლოვდება ზაფხულის უნივერსიადა. „კომსომოლსკაია პრავდას“ საკუთარი კორესპონდენტი ვიქტორ გორლოვი გაზეთის 18 ივლისის ნომერში აქვეყნებს წერილს „როდესაც გუნდში არის ლიდერი“. გთავაზობთ ნაწყვეტს წერილიდან:

„სად მივდივართ? რასაკვირველია, ჯერ ჩოგბურთზე, ლეილა მესხის სანახავად, 19 წლის თბილისელი სტუდენტი, მომავალი თარჯიმანი, ლეილა მესხი უნივერსიადის საჩოგბურთო ტურნირის ფინალისტია ერთეულთა თანრიგში.

ვიკითხოთ, რას ფიქრობენ ჩვენს გვერდით მჯდარი ჩეხი ჟურნალისტები. გვიპასუხეს: ლეილას მეტოქე ივა ბუდაროვა, ქვეყნის მეშვიდე ჩოგანი, 26 წლისაა. მას დიდი გამოცდილება აქვს და ზაგრებში „ოქროსთვისაა“ ჩამოსული.

მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, ლეილამ თქვა: „მთავარი იყო არ მომეღო მოწინააღმდეგის მიერ შემოთავაზებული თამაში — უნდა მემოქმედა წყნარად, იძულებული გამეხადა ბუდაროვა ენერგიულად, შეცდომები დაეშვა“.

პირველ სეტში ანგარიში მესხს მიჰყავდა — 5:1, მაგრამ. ეტყობა, ნაადრევად ჩათვალა საქმე გაკეთებულად. ივამ მალე გათანაბრა ანგარიში და ამ დროს ფსიქოლოგიური უპირატესობა მის მხარეს იყო. ვაღიარებ, რომ მე მაშინ დავკარგე ლეილას რწმენა. მეგონა შედრკებოდა, მაგრამ შევცდი, ჩვენი ჩოგბურთელი საკმაოდ მტკიცე ხასიათის აღმოჩნდა, — პირველი სეტიც მოიგო და მეორეც, თანაც მეტად დრამატულ სიტუაციაში.

ჟურნალისტებმა შეკითხვები დააყარეს ჩემპიონს...

— გქონდათ მოგების იმედი?

— აბა რატომ გავდიოდი ფინალში?

— ვინ არის თქვენი მწვრთნელი?

— თეიმურაზ კაკულია. ჩვენში მას კარგად იცნობენ.

— მრმავალ გამარჯვებებზე იცნობობთ?

— რა თქმა უნდა. წინ კიდევ ორი ფინალია.

...ლენა შუშუნოვას უნივერსიადის ტანვარჯიშის დედოფალი უწოდეს. იქნებ „ჩოგბურთის დედოფალიც“ გაგვიჩნდეს? ყოველ შემთხვევაში, ლეილა მესხის წარმატება — სამივე თანრიგში ფინალში გასვლა — ბრწყინვალე შედეგია. იგი საბჭოთა სტუდენტური გუნდის ურყევი ლიდერია...“



ᲔᲚᲕᲐ - ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ორი ოქროს და სამი ბრინჯაოს მედალი — ასეთია პირად პირველობაში სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს ნორჩ სპორტსმენთა ნადავლი. წარმატება უდავოდ თვალსაჩინოა, მით უფრო, რომ ამ ასპარეზობაში ჩვენი სპეციალისტები პირად პირველობაში გაცილებით მოკრძალებულ შედეგებს გეგმავდნენ.

თბილისელმა მოსწავლეებმა ნიკა ბარამიძემ, გიორგი კოსტანიანმა, ვალერი ობანეზოვმა და სოფიკო მანაგაძემ შესანიშნავი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და სპეციალისტების ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურეს, ნიკა ბარამიძეს სპეციალური პრიზიც გადაეცა ტაიჭზე ორიგინალური კომპოზიციის შესრულებისათვის.

ახლა კი დაწვრილებით გოგონების ასპარეზობის შესახებ.

ჩვენმა ტანმოვარჯიშე გოგონებმა შეჯიბრების მეორე დღეს გაცილებით უკეთ იასპარეზეს, მაგრამ თამაშების სტარტზე დანაკარგი იმდენად დიდი იყო, რომ გუნდი X ადგილზე აღმოჩნდა. არის სახეობები, სადაც ჩვენს სპორტსმენებს ამ სახეობაში ისედაც წამყვანი მოკავშირე რესპუბლიკების გაერთიანებული ძალებით გაძლიერებულ თანატოლებთან უწევთ პაექრობა. ასეთია სპორტული ტანვარჯიშიც. და მაინც, პირად პირველობაში ჩვენი გუნდის რამდენიმე წევრმა გამოიჩინა თავი.

პირად შეჯიბრებაში მრავალჭიდში (ოსტატთა პროგრამით) I ადგილი 79,95 ქულით სვეტლანა ივანოვამ (უკრაინის განათლების სამინისტრო) დაიკავა, II — იულია კუტიმ (საბჭოთა არმია) — 77,45, III — სვეტლანა კოზლოვამ (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 77,4.

ოსტატობის კანდიდატის პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში პირველი იყო ირინა ავტენიევა (საბჭოთა არმია) — 76.25, II — ელენე ლევოჩკინა (განათლების სამინისტრო, სამხრეთი ზონა) — 75,5, III — მარინა გორიუშოვა — („დინამო“) — 74,4.

პირველ თანრიგში: I — ნატაშა ჩერნეიკო („შრომითი რეზერვები“) — 74,4; II — ნატაშა გონჩაროვა (განათლების სამინისტრო, დასავლეთი ზონა) — 75,85, III — სვეტლანა გლადკაია („დინამო“) — 75,35.

ცალკეული იარაღები
ბჯენითი ხტომები (პირველი თანრიგის პროგრამით):

1. ჟანა ფრიკი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 19,3, 2. ტატიანა ლისენკო („დინამო“) — 18,95, 3. **სოფიკო მანაგაძე** (საქართველო) — 18,8.

სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამა: 1. ვიქტორია ტკაჩოვა (პროფკავშირები-II) — 18,95, 2. სვეტლა კვეტკოვსკაია (უკრაინის განათლების სამინისტრო) — 18,85, 3. ელენა ლევოჩკინა (სამხრეთი ზონა) — 18,85;

ოსტატობის პროგრამა: 1. სვეტლანა ივანოვა (უკრაინის განათლების სამინისტრო) — 19,35, 2. სვეტლანა კოზლოვა (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 19,9, 3. ლარისა ელიკინა (უკრაინის განათლების სამინისტო) — 18,95.

ორძელი.

პირველი თანრიგის პროგრამა: 1. ოქსანა ზახარინა (საბჭოთა არმია) — 20,0, 2. ნატალია ჩერნენკო („შრომითი რეზერვები“) — 19,8, 3. — ნატაშა გონჩაროვა (დასავლეთი ზონა) — 19,35.

ოსტატობის კანდიდატობის პროგრამა. 1. ირინა ავტენეევა (საბჭოთა არმია) — 19,7, 2. მარინა გარიუნოვა („დინამო“) — 19,65, 3. კარინა რახმანოვა (რსფსრ-ს განათლების სამინისტრო) — 19,5.

სპორტის ოსტატობის პროგრამა: 1. სვეტლანა კოზლოვა (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 20,85, 2. იულია კუტი (საბჭოთა არმია)— — 20,15, 3. სვეტლანა ივანოვა (უკრაინის განათლების სამინისტრო) — 19,55.

დვირი

პირველი თანრიგის პროგრამა: 1. ნატაშა გონჩაროვა (დასავლეთი ზონა) — 19,65, 2. იულია იანკოვსკაია (უკრაინის განათლების სამინისტრო) — 19,1, 3. სვეტლანა გლადკაია („დინამო“) — 18,95... 5. სოფიკო მანაგაძე — 18,5.

ოსტატობის კანდიდატობის პროგრამა: 1. ირინა ავტიეევა (საბჭოთა არმია) — 19,3, 2. ელენა შიშკარიოვა (საბჭოთა არმია) —19,0, 3. მარინა გარიუნოვა („დინამო“) — 18,75.

სპორტის ოსტატობის პროგრამა: 1. ვიქტორია ივკოვა (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 19,85, 2. სვეტლანა ივანოვა (უკრაინის განათლების სამინისტრო) —19,45, 3. სვეტლანა კოზლოვა (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 19,0.

თავისუფალი ვარჯიში

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ

ბარს მოგვადგა სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების ძირითადი შეჯიბრებები. თბილისში უკვე ჩამოვიდა და მუშაობას შეუდგა ამ გრანდიოზული ასპარეზობის მთავარ მსაჯთა კოლეგია.

გუშინ საქართველოს სპორტსაბჭოში გაიმართა თამაშების ჩატარების ხელმძღვანელების შტაბისა და მთავარ მსაჯთა კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელსაც შეჯიბრებაში მონაწილე სპორტული დელეგაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ინფორმაციით გამოვიდა თამაშების ჩატარების მთავარ მსაჯთა კოლეგიის მთავარი მდივანი ე. ხიროტკინი.

სხდომაზე ინფორმაცია გააკეთეს თამაშებისათვის სპორტული ბაზების მზადყოფნის, სტუმრების მიღება-დაბინავების, უკან გამგზავრების, საშეფო მუშაობის და სხვა საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს უშუალოდ სპორტის ცალკეულ სახეობებში შეჯიბრების დებულების ზოგიერთი პუნქტის განმარტებას. შეფასება მისცეს წყალბურთში და სპორტულ ტანვარჯიშში (გოგონთა შორის) უკვე დამთავრებული შეჯიბრების ორგანიზაციას.

სხდომის შედეგები შეაჯამა თამაშების ჩატარების შტაბის ხელმძღვანელმა, მთავარ მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილემ საქართველოს სპორტსაბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. შუბლაძემ.

მესამე მატჩში ამერიკელების მეტოქე კვლავ საქართველოს ნაკრები იყო. გუნდის ბირთვს შეადგენდნენ „მართველს“ კალათბურთელები, რომლებსაც ორი „დინამოელი“ დაემატა.

თავიდანვე უპირატესობას ქართველი ჭაბუკები დაეუფლნენ და პირველივე წუთიდან დაწინაურდნენ — 12:5. ამერიკელები ძირითადად კარგად ორგანიზებული პირველი შეტევის ხარჯზე ახერხებდნენ ქულათა სხვაობის შემცირებას, მაგრამ მასპინძლები უფრო ყურადღებით ათამაშდნენ დაცვაში და ტაიმი 13 ქულით მოიგეს — 57:44.

მეორე ნახევარში ანდღულაძის (34 ქულა) და გეგეშიძის (29) ზუსტი სროლების შედეგად ქართველი კალათბურთელების უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. 113:86 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ამერიკელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო კიდი (13 ქულა).

სოციოლოგია და სპორტი

ნაკრები სარკეში

რა გვიჩვენა ჭაბუკ ფრენბურთელთა გუნდის სოციოლოგიურმა გამოკვლევამ?

გამოკითხულია 17 სპორტსმენი და მწვრთნელი. სპორტსმენთა საშუალო ასაკია 15,4 წელი, საშუალო სპორტული სტაჟი — 4,4 წელი, ყველა მათგანი მოსწავლეა, პირველთანრიგოსანი.

გამოკითხულ სპორტსმენთა 99,1% აზრით, გუნდი მომავალ თამაშებში პირველ ადგილს დაიკავებს.

სპორტული ბაზა. გამოკითხულ სპორტსმენთა 5,0% თვლის, რომ სპორტსმენი თანამედროვე საწვრთნელი ბაზის უქონლობის პირობებშიც შეძლებს შეჯიბრებისათვის კარგად მომზადებას, 35,1%-ის აზრით სპორტსმენის მოსამზადებლად აუცილებელია საწვრთნელი ბაზა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს. 58,8% მიიჩნევს, რომ აუცილებელია საწვრთნელი ბაზა აღჭურვილი იყოს სათანადო ინვენტარით. **როგორ წარმოუდგენიათ სპორტსმენებს იდეალური საწვრთნელი ბაზა და რამდენად შეესაბამება მათი საწვრთნელი ბაზა იდეალურს?**

გამოკითხულთა 70,6-82,4%-ის აზრით აუცილებელია მუდმივი ადგილი, ცენტრი, სადაც ჩატარდება საწვრთნელი მეცადინეობები, აღჭურვილი უნდა იყოს ყველა აუცილებელი სპორტული ინვენტარითა და სამედიცინო დახმარების თანამედროვე საშუალებებით. 58,8-64,7%% თვლის, რომ საწვრთნელ ბაზაზე უნდა იყოს ტრენაჟორები, ფუნქციონალური დიაგნოსტიკისა და სარეაბილიტაციო საშუალებები.

სარეაბილიტაციო სამსახური. 70,6% თვლის, რომ სპორტული ფორმის მიღწევა-შენარჩუნებისათვის აუცილებელია აღდგენის პირობები უპასუხებდეს თანამედროვე მოთხოვნებს; 11,8% საკმარისად მიიჩნევს აღდგენითი საშუალებებით გარკვეულად უზრუნველყოფას; 5,9% მიიჩნია, რომ სპორტსმენს სპორტული ფორმის მიღწევა და შენარჩუნება შეუძლია იმის მიუხედავად, როგორი აღდგენითი საშუალებებით სარგებლობს იგი. 5,9% თვლის, რომ აღდგენითი საშუალებებით საშუალო დონეზე უზრუნველყოფის შემთხვევაში სპორტსმენი ვერ მოახერხებს სპორტული ფორმაში ჩადგომას და მის შენარჩუნებას. 76,5% აღდგენისთვის აუცილებლად თვლის სპორტული დღის რეჟიმის დაცვას, ძილსა და დასვენებას. 52,9-58,8%-ის აზრით, საჭიროა აღდგენითი პროცესის სრულყოფილი მეთოდიკის შემუშავება, სარეაბილიტაციოდ შხაპის, აბანოს, აბაზანებისა და ფიზიკური კულტურის საშუალებების გამოყენება (საწვრთნელი დატვირთვის ცვალებადობა, აქტიური დასვენება, საერთო ფიზიკური მომზადება), კვების სათანადო რეჟიმის დაცვა, კეთილმოწყობილი საყოფაცხოვრებო პირობები, კულტურული დასვენება, გართობა. 41,2-47,1%-ის აზრით აუცილებელია სარეაბილიტაციო პროცესის მატერიალური უზრუნველყოფა და აღდგენისთვის სამედიცინო-ბიოლოგიური საშუალებების (მასაჟი, ფარმაკოლოგიური საშუალებები, ვიტამინები, საუნა) გამოყენება. მხოლოდ 17,6-25,3% მიიჩნია ეფექტურად ფსიქორეგულაციური ვარჯიშები და ტექნიკური საშუალებები (ელექტროსტიმულატორი, ვიბრომასაჟორი და სხვ.).

სარეაბილიტაციო სამსახურის რეალურ მოდელში, სპორტსმენთა პასუხების თანახმად (47,1-58,8%), ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს სპორტული დღის რეჟიმის დაცვას, ძილსა და დასვენებას, საყოფაცხოვრებო პირობებს. 35,3%მა მიუთითა, რომ აღდგენისთვის იყენებს ფიზიკური კულტურის საშუალებებსა და კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებს. 17,6-29,4%% აღნიშნა, რომ გუნდი ხელმძღვანელობს რეაბილიტაციის სრულყოფილი მეთოდებით და ამასთან დიდ ადგილს უთმობს ფსიქორეგულაციურ ვარჯიშებს, მიმართავს სამედიცინო-ბიოლოგიურ საშუალებებს, იცავს კვების რეჟიმს.

როგორც ვხედავთ, სარეაბილიტაციო სამსახურის რეალური მოდელი საკმაოდ ჩამორჩება იდეალურს — 70,6-88,2%% თვლის, რომ მწვრთნელი უნდა გამოირჩეოდეს ბევრი კარგი თვისებებით, კერძოდ: სიახლისკენ სწრაფვით, საკუთარი პროფესიისა და სამუშაოს ერთგულებით, პატრიოტიზმით, სიკეთით, გულისხმიერებითა და სპორტსმენის მიმართ მომთხოვნელობით. ამასთან, კარგად უნდა ერკვეოდეს სპორტში. 47,1-64,7%%-ის აზრით, მწვრთნელი უნდა იყოს მაღალი კულტურისა და ზნეობის ადამიანი, მტკიცე ნებისყოფის, შრომისმოყვარე, მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, მაღალი ინტელექტის, საერთო ერუდიციის მქონე, შეეძლოს სპორტსმენის მატერიალური უზრუნველყოფა. მხოლოდ 5,9% იჩენს მწვრთნელის ნაკლოვანებებისადმი შემწყნარებლობას.

სპორტსმენთა წარმოსახვაში მწვრთნელის რეალური მოდელი შემდეგნაირია: უმრავლესობა (70,6-88,2%%) თვლის, რომ მწვრთნელები ერთგულნი არიან საკუთარი პროფესიისა და სამუშაოსი. მომთხოვნი არიან სპორტსმენებისადმი. 52,9-64,7%% მიიჩნია, რომ მწვრთნელები გამოირჩევიან სამშობლოს დიდი სიყვარულით, ნებისყოფით, შრომისმოყვარეობითა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობით, ამასთანავე ღრმად ერკვევიან სპორტში. 35,3-41,2%% აზრით, მწვრთნელები გამოირჩევიან მაღალი კულტურით, სიახლისკენ სწრაფვით; 23,5-29,4%%-ის აზრით კი — მისაბაძი მორალური თვისებებით, მაღალი პირადი მიღწევებით სპორტში, სპორტსმენის მატერიალური უზრუნველყოფის უნარით.

როგორც ვხედავთ, სპორტსმენთა წარმოსახვაში მწვრთნელთა იდეალური მოდელი არც ისე დაშორებულია რეალურს.

76,5-100%% თვლის, რომ სპორტსმენს მაღალი შედეგების ჩვენებაში ხელს შეუწყობს შემდეგი თვისებები: მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მეგობრებისა და ამხანაგების წინაშე, სპორტის დიდი სიყვარული, შრომისმოყვარეობა, ორგანიზებულობა, დისციპლინა, სპორტული ოსტატობის სრულყოფისკენ სწრაფვა, თავგამოდების უნარი, ამტანობა, სიმამაცე; 58.8-64,7%% აზრით — სამშობლოს დიდი სიყვარული, მიზნისკენ სწრაფვა, გამარჯვების წყურვილი; 41,2-47,1%% აზრით კი — სპორტული ტალანტი, სახელის მოპოვების სურვილი, პატიმოყვარეობა, ჯიბრის გრძნობა, აგრესიულობა. მხოლოდ 29,4% მიაჩნია აუცილებლად სპორტსმენისათვის ფანატიზმი და სახელის მოპოვების სურვილი.

სპორტსმენის რეალურ მოდელში სპორტსმენთა აზრით მნიშვნელოვანია ისეთი თვისებები, როგორიცაა მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, სამშობლოსა და სპორტის დიდი სიყვარული, სპორტული ოსტატობის სრულყოფისკენ სწრაფვა, შრომისმოყვარეობა, მაღალი ორგანიზებულობა (64,7-82,4%%). შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანია მიზნისაკენ სწრაფვა, გამარჯვების წყურვილი, ჯიბრის გრძნობა, აგრესიულობა (41,2-58,8%%), კიდევ უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი — სპორტული ტალანტი, თავმოყვარეობა, პატიმოყვარეობა, თავგამოდების უნარი, ამტანობა, სიმამაცე, ფანატიზმი და სახელის მოპოვების სურვილი (11,8-35,3%%).

სპორტსმენთა რეალური მოდელი აქაც მცირედით ჩამორჩება იდეალურს.

მიკროკლიმატი. გუნდში არის 3 ლიდერი, მათ შორის 2 შედარებით გამოკვეთილია (პავლოვი და ლხინაძე). ლიდერთა ირგვლივ გუნდის შემჭიდროებულობის კოეფიციენტი უდრის 0,41. ეს საშუალო ძაჩვენებელია. საშუალო დონეს შეესაბამება გუნდის მიკროკლიმატის ისეთი მახასიათებლებიც, როგორიცაა კოლექტივის მობილიზება სპორტული წარმატების მოსაპოვებლად — 0,53 და სპორტსმენთა საიმედოობის ინდექსი 0,40.

საკმაოდ მაღალია მწვრთნელთა ავტორიტეტი — 0,74.

რესპუბლიკის საუკეთესო მწვრთნელთა შორის სპორტსმენთა მიერ დასახელებულია:

1. იგნატიევი — 100%, 2. კაჭარავა — 88,2%, 3. სტეპანიანი — 35,3%, 4. მუხინი — 5,9%, 5. ტკაჩენკო — 5,9%.

სპორტსმენების აზრით, გუნდის წევრებიდან კარგი სტაბილური შედეგებით გამოირჩევიან:

1. პავლოვი რ. — 94,1%, 2. ლხინაძე დ. — 76,5%, 3. კალმიკოვი — 47,1%, 4. სამოილენკო — 29,4%, 5. მესხი — 23,5%, 6. ჯიოშვილი 11,8%.

სპორტსმენთა აზრით, კოლექტივის ლიდერები, რომელთაც შესწევთ გუნდის სხვა წევრების აყოლიება:

1. პავლოვი — 58,8,% 2. ლხინაძე — 47,1%, 3. სამოილენკო — 17,6%.

გამოკითხულთა აზრით, პერსპექტიული სპორტსმენები ნაკრებ გუნდს გარეთ არ დარჩენილან.

აქტუალური საკითხი

„ბავშვის, მერეც მოესწრება“

მახსოვს, ჩვენს დედაქალაქში ერთხანს (ეს იყო ამ ათი წლის წინათ) საშუალება მოგვეცა თამამად წარვმდგარიყავით აუდიტორიის წინაშე. როდესაც გაბრაზებული მშობლები გვეკითხებოდნენ სად არის ცურვის მასობრივი სწავლებისათვის აუზებიო, ჩვენ მათ ვამშვიდებდით — უკვე არსებობს დადგენილება თბილისში 30 საჭუმპალაოს სასწრაფოდ აშენების თაობაზე, თანაც საჭუმპალაოები აიგება ქალაქის ყველა რაიონშიო.

მშობლები მადლობას გვიხდიდნენ ამ სასიხარულო ცნობისათვის. მაგრამ გავიდა წლები და დადგენილება დადგენილებად დარჩა, რა მოხდა? როგორც ჩანს, თავისი გაიტანა სტერეოტიპულმა აზროვნებამ: ჯერ მივხედოთ სხვა, უფრო „საჭირო“ ობიექტების მშენებლობას, ბავშვები მოითმენენ, მათ ყველაფერი წინა აქვთ, მერეც მოესწრებიან!

რა გამართლება შეიძლება ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ საქართველოს საშუალო სკოლებიდან მხოლოდ ერთ პროცენტს აქვს საცურაო აუზი, თბილისში არსებული სასკოლო აუზების 90 პროცენტი კი უქმად დგას, ან დაუსრულებელ რემონტშია. სკოლის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი ასე მსჯელობს: ვერ წამოიდგენთ, რა ბედნიერებაა აუზი რომ არ მუშაობს და მის რემონტზეც არავინ ფიქრობს! მე შენ გეტყვი კომფორტი გვექნება თუ რა. დაცივდებიან ბავშვები და აგე მერე პასუხი. ღმერთმა ხელი მოუმართოს ჩვენს ჭშენებლებს, ანლოს არ გვეკარებიან და ამ ნათამბალისგან გვიხსნიანო.

მართალია, ყველაფერი ხელის ერთი დაკვრით ვერ მოწესრიგდება, მაგრამ როცა რაიონული ცენტრიდან ითხოვენ არა სპორტის სასახლის, არამედ ერთი პატარა ხატანავარჯიშო დარბაზის აშენებას და პასუხად უარს ღებულობენ, ეს უკვე აღარაფერს აღარ გავს. რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალა ჩხოროწყუს რაიონში სასკოლო ფიზიკური აღზრდის მდგომარეობა შემემოწმებინა. ნაკლის აღმოსაჩენად გამაცდინებულს საქციელი წამიხდა, როდესაც რაიონის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მითხრა — რაიონში სპორტსკოლისთვის დარბაზი არა გვაქვს, ხუთი წელია ვის აღარ ვაწუხებთ, ამას წინათ დარბაზის პროექტიც დავამზადებინეთ, საშენი მასალაც ვიშოვნეთ, მაგრამ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მშენებლობის ნება მაინც არ დაგვრთოო.

რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს ამგვარ „პრინციპულობას“? ადრე ხელმძღვანელობის სამებლად ხშირად ვაცხადებდით ხოლმე: დადგენილებები შესანიშნავია, მაგრამ საქმე იმიტომ არ მიდის წინ, რომ ცუდი შემსრულებლები ვართო. ჩვენ რომ ცუდი შემსრულებლები ვართ, ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ იმაშიც ხომ დავრწმუნდით, რომ დადგენილების მიმღების მოვალეობა მხოლოდ დოკუმენტის შექმნით არ ამოიწურება? დიახ, საქმეს ბოლომდე მიყოლა სჭირდება.

ამ პატარა წერილში შეუძლებელია ბავშვთა მასობრივ-ფიზიკულტურული მოძრაობის სხვა პრობლემებსაც შევეხო, მაგრამ აუზების მშენებლობის გაჭიანურება უკვე მაძლევს ერთი დასკვნის გაკეთების უფლებას.

ვის-ვის და ბავშვებს არ ეღალატება, დროა დაპირებებიდან საქმეზე გადავიდეთ, თავიდან მოვიშოროთ მცდარი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ბავშვები მოითმენენ, მერეც მოესწრებიან!“ ასეთი თვალსაზრისით შეუძლებელია გაუსწორო თვალი ჩვენს ქვეყანაში დაწყებულ სოციალურ ძვრებს.

ავთანდილ ციბაძე,
პროფესორი.

გავაშენოთ, კეთილ მოვანყოთ!

„არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი სპორტული მოედნის გარეშე!“ — ამ დევიზით მიმდინარეობს საკავშირო კონკურს-დათვალიერება. შეგახსენებთ, კონკურს-დათვალიერების ობიექტი იქნება მხოლოდ ის სპორტული ბაზა, რომელიც მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე გაშენდება და კეთილმოწყობა.

რესპუბლიკის სპორტსახკომმა და პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ შექმნეს კონკურს-დათვალიერების რესპუბლიკური შტაბი და დაამტკიცეს ეიურის შემადგენლობა. გთავაზობთ რეკომენდაციებს კონკურს-დათვალიერების ორგანიზებულად ჩატარებისთვის:

1. ადგილზე შევადგინოთ რეგიონის შრომითი და სახსოვარი დაწესებულებების სია; აღვნიშნოთ, რამდენს არა აქვს სპორტული ბაზა;

2. კონკურს-დათვალიერების მოთხოვნები უნდა გაეცნოს ყველა კოლექტივს და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებები;

3. იმ კოლექტივების სია, რომლებიც ჩაებნენ კონკურს-დათვალიერებაში, აგრეთვე იმათი სიაც, ვისაც არა აქვს სპორტული ბაზა და არ ჩაერთო ამ ღონისძიებაში, 30 ივლისამდე უნდა გამოიგზავნოს „ლელოს“ რედაქციაში, ადგილობრივი სპორტკომიტეტისა და ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებების ხელმძღვანელთა ხელმოწერით;

4. პრაქტიკული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ მასალები „ლელოში“ გამოსაქვეყნებლად მოგვაწოდეთ სისტემატურად. განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პირად ინიციატივაზე.

---

19 ივლისი მეტალურგის დღეა!

რუსთავი სპორტული ქალაქია

რუსთავის ქარხნების აზრის გათვალისწინებით საფუძველზე ქალაქში შეიმუშავეს და დაამტკიცეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების კოჰპლექსურ-მიზნობრივი პროგრამა. იგი გათვალისწინებულია 2000 წლისათვის.

გვესაუბრება ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კარლო ნაპუბგია.

— პროგრამის შედგენისას, — თქვა მან, — შევისწავლეთ და გავითვალისწინეთ მთელი რიგი ფაქტორები. მათ შორისაა — 2000 წლამდე რუსთავის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა, ქალაქის სპორტული ტრადიციები, ყველა დაინტერესებული პირის წინადადება და სურვილები. მოეწყო ანკეტური ვამოკითხვა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდა განგვესაზღვრა სპორტის საზეობები და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მეცადინეობის ფორმები, რომლებიც ქალაქელთა შორის უფრო პოპულარულია.

გამოკითხეთ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ოთხ ათას კაცს. ანალიზმა გვიჩვენა, რომ რუსთაველები უპირატესობას ანიჭებენ აერობიკას, ცურვას, ტურიზმს, ნადირობას, დილის ვარჯიშს, თევზაობას, რბენას, ველოსიპედით სეირნობას, ნიჩბოსნობას, წყლით წრთობას. ხოლო სპორტული დისციპლინებიდან ქალაქის მცხოვრებლები დაიხტერესებული არიან ფეხბურთის, კალათბურთის, ცურვის, ჩოგბურთის, აკრობატიკის, საცხენოსნო სპორტის, ფრეხბურთის, ბადმინტონის, მაგიდის ჩოგბურთის, მხატვრული ტანვარჯიშისა და ფიგურული სრიალის განვითარებით. „ყველაზე რჩეულთა“ შორის საცხენოსნო სპორტისა და ფიგურული სრიალის გამოჩენა სრულიად მოულოდნელი იყო კომისიისათვის, ვინაიდან სპორტის ეს სახეობები რუსთავში არასდროს ყოფილა დანერგილი.

— რას იზამ, — ეღიმება პატივცემულ კარლოს, — მოგვიწევს იპოდრომისა და ყინულიანი დარბაზის მშენებლობა. ჯერ საზოგადოებრივი აზრი დიდი ძალაა.

წელს საეკსპლოატაციოდ ჩაბარდება 33X22 მეტრი ზომის სპეციალური საცურაო აუზი წყალბურთელებისათვის. დაწყებულია ჩოგბურთის სტადიონის მშენებლობა ათი კორტით. ორი მათგანი გადახურული იქნება. გეგმაშია ჰიდაობისა და კრივის დარბაზების, ორმოცდაათმეტრიანი ტირის, რამდენიმე აუზის, სხვა სპორტკომპლექსების მშენებლობა. 250 კვ მეტრით გააგრძელებენ ხელოვნურ ტბას, რომელიც ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში მდებარეობს. აქ მოთავსდება ნიჩბოსნობისა და წყალსათხილამურო სპორტის ბაზები და შემდგომში უკვე შესაძლებელი იქნება დიდი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების მოწყობა. ყოველივე ამისათვის გამოყოფილია თითქმის თერთმეტი მილიონი მანეთი.

ინდუსტრიულ რუსთავს სამართლიანად შეიძლება ეწოდოს სპორტული ქალაქი. მარტო ბოლო ორი წლის განმავლობაში საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველოსთან აშენდა 70 კომპლექსური სპორტული მოედანი. ჩვენ ზოგიერთ მათგანს ვეწვიეთ. ისინი მუყდრო და მოვლილია. განსაკუთრებით ხალხმრავლობაა ჩოგბურთის ახალ მოედნებზე. ყურადღება მიიპყრო არაჩვეულებრივმა წყვილმა — მოედნის ერთ მხარეს მამაკაცია, მეორე მხარეს—პატარა ბიჭი. თამაში საკმარისად დაძაბულად ძიძდიხარეობდა. რვა წლის მიშიკომ ჩოგბურთის თამაში პირველად თბილისში, ერთერთ შეჯიბრზე ნახა, სადაც იგი მამამ — ინჟინერმა ნოდარ გზირიშვილმა მიიყვანა. ნოდარი სპორტის ამ სახეობის დიდი თაყვანისმცემელია. ძნელი წარმოსადგენია ის სიხარული, რომელიც ბავშვმა განიცადა მაშინ, როცა კორტები მისი სახლის გვერდით აშენდა. მამამ მას ჩოგანი უყიდა და მას შემდეგ მთელ თავისუფალ დროს ისინი მოედანზე ატარებენ.

— ჩოგბურთის კორტების მოწყობამ არა მარტო ბავშვები, არამედ დიდებიც გაგაოცა, — ამბობს ნოდარ გზირიშვილი. — ბავშვებისათვის ჩოგბურთი შესანიშნავი შესაძლებლობაა, რათა განავითარონ ძალა, ამტანობა, რეაქცია, ხოლო ჩვენ ეს თამაში რამდენადმე გვინსნის შრომითი დღის დაძაბულობას, გვიცავს ზედმეტი კილოგრამებისაგან, ერთი სიტყვით „საბრძოლო ფორმას“ გვინარჩუნებს.

ორმოცზე მეტი რუსთაველი სპორტსმენი რესპუბლიკის სხვადასხვა ნაკრების წევრია. ბევრი მათგანი აღზარდეს ისეთმა მწვრთნელებმა, როგორიც არიან ალექსანდრე იოკიმიდი, ნიკოლოზ გარაბაჯი, პეტრე ჯიოშვილი, დავით ჩიჩანიძე, ედუარდ კოიფმანი, ანატოლი ჩერნოუსოვი და სხვები.

— ჩვენს ქალაქში, — ამბობს კარლო ნაპუბია, — 152 ათასი მცხოვრებია. მათგან ყოველი მესამე აქტიური ფიზკულტურელია და ეს რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. მატულობს აგრეთვე ფიზკულტურული კოლექტივების, მწვრთნელების, მეთოდიკების რაოდენობა. უცვლელი რჩება მხოლოდ უკიდურესად მცირერიცხოვანი საქალაქო სპორტკომიტეტის შტაბი, რომელიც მხოლოდ თავმჯდომარისა და ინსტრუქტორისაგან შედგება.

ყველაფერი იოლი მოსაგვარებელი რადია, არის კიდევ სხვა პრობლემებიც, კერძოდ, სპორტკომპლექსების მშენებლობა ზოგიერთ საწარმოში. მაგრამ, ვფიქრობ, ეს ძნელი გადასაწყვეტი არ არის. მთავარია ის, რომ აქ სულ უფრო მეტი ადამიანი ებმება სპორტში და იგი მათ მხოლოდ ტელევიზორით არ უყვართ.

ბ. პოჩაძაძე.

სსრ კავშირის თასი

განმეორებითი მატჩები

ბუშინ გაიმართა ფეხბურთელთა საკავშირო თასის მეთექვსმეტედფინალის განმეორებითი მატჩები, რომელშიც საქართველოს სამი გუნდი თამაშობდა:

„შინიკი" (იაროსლავლი) — „დინამო" (თბილისი) 0:2.

„როტორი" (ვოლგოგრადი) — „გურია" (ლანჩხუთი) 3:1.

„დინამო" (სოხუმი) — „დინამო" (მინსკი) 1:0.

სსრ კავშირის თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდნენ თბილისისა და სოხუმის დინამოელები.

ლანჩხუთის „გურია" გათამაშებას გამოეთიშა.

ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი

მეტოქე ჯერ უცნობია

ოტავა. გრძელდება 16 წლამდე ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. ხაბჭოთა კავშირის ნაკრებმა ჯგუფური ტურნირის მესამე შეხვედრა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონ ბოლივიის გუნდთან გამართა და გაიმარჯვა — 4:2 (2:0). ჩვენმა ნაკრებმა 5 ქულით ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

წინა ტურნირის გამარჯვებულმა ნიგერიის გუნდმა, რომელიც ამავე ქვეჯგუფში გამოდის, დამარცხება განიცადა მექსიკელთაგან— 0:1 (0:0). ორთავე კოლექტივმა ერთნაირი ქულები დააგროვა, მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით უპირატესობა ნიგერიელებს მიენიჭათ. ისინი საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ.

ჯგუფური ტურნირის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: პირველი ქვეჯგუფი: იტალია — ეგვიპტე 1:0 (0:0), კატარი — კანადა 2:1 (2:1); მეორე ქვეჯგუფი. კოტ დიუვარი— ეკვადორი 1:0 (0:0), სამხრეთ კორეა — აშშ 4:2 (1:1). მესამე ქვეჯგუფის მატჩები (ბრაზილია, საფრანგეთი, ავსტრალია და საუდის არაბეთი) ერთი დღით გვიან ჩატარდა. სწორედ ამ ჯგუფში მეორე ადგილზე გასულ კოლექტივს შეხვდება საბჭოთა ნაკრები. ეს მეოთხედფინალური შეხვედრა დღეს, 19 ივლისს გაიმართება. ნიგერიის ფეხბურთელთა მეტოქე ამ ეტაპზე მესამე ჯგუფში გამარჯვებული კოლექტივი იქნება.

დანარჩენ მეოთხედფინალებში ითამაშებენ: იტალია—სამხრეთ კორეა და კოტ დიუვარი—კატარი.

ზაფხულში სპორტის ზამთრის სახეობებზე მსჯელობა სწორედ რომ უპრიანია — განვლილია ძველი სეზონი და თუ გვინდა შეცდომები და ნაკლოვანებები აღარ განმეორდეს, შესაძლებლობა გვაქვს დროულად დავიბიროთ თადარიგი. მაგრამ სპორტის ზამთრის სახეობებში იმდენი პრობლემები დაგვიგროვდა, ცხადია, ერთ ზაფხულში ორ-სამ წელიწადში — ორ-სამ ნაბიჯ-რუდუნება ვერ მოერევა. და მაინც, როდის, თუ არა ახლა? ალბათ, კეთებაც დღეს შეიძლება, სახვალიოდ არ უნდა გადავდოთ...

ზამთრის სახეობები უნდა დავაწინაუროთ

თუ საციგაო სპორტში, ფიგურულ ცეგურაობასა და თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი შედეგები გვაქვს, სამთო-სათხილამურო სპორტში არასახარბიელო მდგომარეობაა. ჩვენი სპორტსმენები, თითო-ოროლას გამოკლებით, შედეგებსაც აუარესებენ და ნაკლები რაოდენობითაც გამოდიან საკავშირო შეჯიბრებებზე და ზამთრის სპარტაკიადებზე. ჩვენში ერთ დროს საკმაოდ პოპულარულ სახეობაში დღეს თითქმის არაფერი კეთდება. მიზეზი? — საქმისადმი მწვრთნელთა გულგრძელი დამოკიდებულება. რესპუბლიკაში ათამდე კვალიფიციური სპეციალისტია. მათგან 7 ბაკურიანში მუშაობს, სხვა თოვლიან რეგიონებზე კი, მათ შორის გუდაურზე, მესტიაზე სულ სამი მწვრთნელი თუ მოდის. ამ სახეობაში აშკარად ჩავარდნის მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ რესპუბლიკაში სულ სამი შეჯიბრება იმართება — ბაკურიანში, გუდაურში და მესტიაში. თანაც ამ შეჯიბრებებზე მოთხილამურეებს არ ეძლევათ საკვალიფიკაციო ქულები, გასვლით სტარტებში კი ჩვენი თითო-ოროლა წარმომადგენელი თუ გამოჩნდება. აქვე უნდა ითქვას, რომ ადრე ბაკურიანში ეწყობოდა საკავშირო პირველობების ერთ-ერთი ეტაპი „ლელოს" პრიზზე, მაგრამ ეს ასპარეზობა რატომღაც გაუქმეს. საბედნიეროდ იგი აღდგა და მომავალი ზამთრის სეზონის ოფიციალურ კალენდარშია შეტანილი. ცხადია, ეს კარგი სიახლეა, მაგრამ საჭიროა მწვრთნელებმაც შეცვალონ მუშაობის სტილი, შეცვალონ დამოკიდებულება ზამთრის ამ მეტად საინტერესო სახეობისადმი, მეტი კოლეგიალობა, ურთიერთპატივისცემა და კეთილმობილება გამოიჩინონ. უარი უნდა ვთქვათ იმ ფიზიკურულ მუშაკებზეც, რომლებიც „საკუთარი ფილოსოფიით" ხელს უშლიან ზამთრის სპორტის განვითარებას.

უკანასკნელ წლებში შედეგები გაუმჯობესეს ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელებმა. ქების ღირსია ბაკურიანელი კახა წაქაძე, რომელიც სეზონის შედეგების მიხედვით ქვეყნის ნაკრებში შეიყვანეს. იმედებს ვამყარებთ წაღვერელ ელგუჯა ორჯონიკიძეზე და ბაკურიანელ იბრაგიმ გობოზოვზე, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სპეციალისტები მათგან მეტს ელიან. დამაფიქრებელია ამ სამეულის მიღმა მდებარე „სიცარიელე", რისი გამომწვევი მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში „მოთხილამურეთა ფრენის" ხელოვნებას სულ 35 სპორტსმენი ეუფლება. ბაკურიანის საშუალო სკოლის 450 მოსწავლიდან 150 სამთო-სათხილამურო სპორტს არჩევს, ხტომებში კი, როგორც მოგახსენეთ, სულ 30-მდე უმაწვილი მეცადინეობს. ისიც უნდა ითქვას, რომ თავის დროზე რომ სასწავლო ტრამპლინები გვქონოდა, ამ სახეობაში უკეთესად გვექნებოდა საქმე. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ბაკურიანის დიდი, 90-მეტრიანი ტრამპლინი მწყობრიდანაა გამოსული (უკვე რამდენმე წელია!), არც შესაფერისი სავარჯიშო დარბაზი გვაქვს.

ჩვენ უკვე აღარ გვაკვირვებს ის, რომ საქართველოს საციგაო სპორტის ოსტატები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, კერძოდ, სვერდლოვსკში ვარჯიშობენ და რესპუბლიკის ჩემპიონატებიც იქ ტარდება. ჭაბუკთა II რესპუბლიკურ ზამთრის სპორტულ თამაშებზე საქართველოს მოციგავეებს სვერდლოვსკის ოლქში მდებარე სპორტკლუბი „კედარი" უმასპინძლებს. არადა, ზამთრის სპორტის სახეობების ფედერაცია, კერძოდ მისი თავმჯდომარე — რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი დ. მანჯგალაძე, „მზადაა სპორტკომიტეტს დახმარება აღმოუჩინოს საციგაო ტრასის მშენებლობის საქმეში". იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სპორტის სპეციალისტები დააჩქარებენ მომავალი ტრასისათვის ადგილის და პროფილის შერჩევას, პროექტის შექმნას. მეტ ქმედით დახმარებას უნდა უწევდეს სპორტსმენებს კომპლექსური საველეინიერო ჯგუფიც. მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, მოციგავეები დიდი ენთუზიაზმისა და მონდომების წყალობით მაინც ახერხებენ ფორს გასვლას. სამი მათგანი უკვე ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში შეიყვანეს.

გასული ზამთრის სეზონის შედეგების მიხედვით ასევე ქვეყნის მოზრდილთა ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დაიკავეს ადგილი თბილისელმა ფიგურულმა მოციგურავემ ანდრეი ტოროსიანმა. ცხადია, ნიჭიერი სპორტსმენისგან უფრო მეტს ველით, სამწუხაროდ, ტოროსიანმა ამ ბოლო დროს გააუარესა თავისი შედეგები. ჩვენი მოციგურავეების, დაოსტატებას ხელს უშლის თბილისში თანამედროვე ტიპის, სტანდარტული ზომის საციგაოს უქონლობა, თუმცა რაც გვაქვს (27X27 მეტრზე), ისიც მთელი 2 წლის მანძილზე მწყობრიდან იყო გამოსული, ამიტომ სპორტისათვის დაიკარგნენ 1972-1973 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭები. სამწუხაროდ, ეს ბაზა წლეულსაც ორი თვის განმავლობაში უქმად იყო სპორტის სასახლის სამაცივრო ცენტრის უხეირო მუშაობის გამო და სპოორტსმენებს ვარჯიში... წყალზე უხდებოდათ.

ამ და სხვა მრავალ საკითხზე იმსჯელეს საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის სხდომაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა. კოლეგიამ დასახა კონკრეტული ამოცანები: გადაწყდა, ოქტომბერში სპორტის ზამთრის სახეობებში ჩატარდეს სახელმწიფო მიღება. ხოლო წლის ბოლომდე — მწვრთნელთა ატესტაცია, ფედერაციის წევრებს წინადადება მიეცათ მეტი ინიციატივა გამოიჩინონ ზამთრის სპორტის სახეობათა განვითარების საქმეში, ეფექტურად ათვოქმედონ აქტივი. კოლეგიამ გადაწყვიტა ცალკეულ სახეობებზე პასუხისმგებელ პირთა მიერ მომავალ სეზონში გაწეული მუშაობის შესახებ დაწვრილებითი ანგარიში მოისმინოს.

კახიანის პირველი გამარჯვება

ირკუტსკი, 18 ივლისი (დეპეშით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). ბარნაულის პარალელუროდ, ირკუტსკიც დაიწყო სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 47-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. წლისწინის შედეგად მონაწილენი ასე განლაგდნენ სატურნირო ცხრილში: მედვედევა, პოლნარიოვა, ტიმოშჩენკო, ჩელუშკინა, სონი, კობაიძე, კოგანი, ასეევა, კახიანი, ლომაკინა, დომკუტე, ხოროვეცი, რუბცოვა, იურევა.

I ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ქართველი მოჭადრაკეები. გაიმარჯვა კახიანმა, რომელიც შავი ფიგურებით თამაშობდა. სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: პოლნარიოვა-რუბცოვა — 0,5:0,5, ტიმოშჩენკო-ხოროვეცი — 1:0, ჩელუშკინა-დომკუტე — 1:0, კოგანი-ასეევა — 1:0. გადადიო მედვედევა-იურევასა და სონი-ლომაკინას პარტიები.

გიორგი მაჭარაშვილი.

და კვლავ საზონათშორისო

ამ რამდენიმე დღის წინათ იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცაში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირი. ახლა მოელი ყურადღება უნგრეთისკენაა მიმართული. ქალაქ სირაკში დაიწყო მეორე საზონათშორისო ტურნირი. ამ შეჯიბრებაში ორი საბჭოთა მოჭადრაკე მონაწილეობს — — ალექსანდრე ბელიავსკი და ვალერი სალოვი. I ტურში სალოვმა მოუგო შვედ ულ ანდერსონს, ლიუბომირ ლიუბოევიჩმა — გლენ ფლიერს (ინგლისი), ჯოელ ბენჟამინმა (აშშ) — ანდარაშ ადორიანს (უნგრეთი), ჯონათან ნანმა — დრაგოლიუბ ველიმიროვიჩს (იუგოსლავია), ქრისტიანსენმა (აშშ)— მიოდრაგ ტოდორჩევიჩს (იუგოსლავია); დაზავდნენ ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) — ჯონ ჰიარტარსონი (ირლანდია), ჯილბერტო მილოში (ბრაზილია) — მარინი (რუმინეთი), დენის ალენი (კანადა) — ბუაზისი (ტუნისი). ბელიავსკის ავადმყოფობის გამო მისი შეხვედრა ესპანელ დე ლა ვილასთან გადატანილია.

„მძიმე" სტარტი

სმედერევსკა-პალანკაში (იუგოსლავია), მრჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირში, გათამაშდა II ტურის შეხვედრები. „მძიმედ" აიღო სტარტი მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა. პირველ ტურში განცდილი მარცხის შემდეგ იგი დაუზავდა ლვოველ ზოია ლელუკს. მეორე გამარჯვება იზეიმა მარტა ლიტინსკაიამ, რომელმაც ამ დღეს კორეელ იანა ფენს სძლია. ორი ქულა აქვს ჩეხოსლოვაკიელ ელიშკა კლიმოვასაც — II ტურში მან შვედ ქრისთინ ნიუბერგს დააყრევინა ფარ-ხმალი. ირინა, ლევიტინამ მოუგო იუგოსლავიელ გორდანა მარკოვიჩს.

II ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: უ მინ ციანი (ჩინეთი)—ნინა იზრაილოვა (აშშ) — 0:1. ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — მარგარეტ ვოისკა (ბულგარეთი) — 0,5:0,5, ილდიკო მადლი (უნგრეთი)— სიუზან არკელი (ინგლისი) —0,5:0,5, იოარ კავესი (ბრაზილია) — ადელ დე არმასი (კუბა) — 0,5:0,5.

გატაულინი—ბუბკას დუბლიორი

ბრიანსკი. ვინ იქნება სერგეი ბუბკას დუბლიორი? საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის ხელმძღვანელებისთვის ამას აქვს ალბათ მნიშვნელობა, უცხოეთში ბევრი მაღალი კლასის ჭოკით მხტომელია, რომლებიც ოცნებობენ საბჭოთა სპორტსმენის ჰეგემონიის დამხობაზე. ცხადია, ბუბკას ღირსეული „თანაშემწე" უნდა ჰყავდეს.

ერთი ასეთი მძლეოსანი უკვე გამოჩნდა. ეს გახლავთ ტაშკენტელი როდიონ გატაულინი, რომელმაც აქ გამართულ საკავშირო ჩემპიონატში კინაღამ ბუბკას მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. მან 604 სანტიმეტრის სიმაღლე, ფაქტიურად, დაძლია კიდეც, მაგრამ როცა ქვემოთ ეშვებოდა, ხელი წაკრა თამასას და გადმოაგდო. გატაულინს პირველი ადგილის დასაკავებლად ბოლო ნახტომის შედეგიც (590 სმ) ჰყოფნიდა, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ ოქროს მედალი მას კი არა, რიგის ერთ-ერთი რესტორნის ბარმენს ალექსანდრე ობიეკევს გადასცა, რომლის შედეგი მხოლოდ 580 სანტიმეტრი იყო.

მიზეზი სულ უბრალო გამოდგა. გატაულინი ბრიანსკში პირდაპირ უნივერსიადიდან ჩამოვიდა და საკვალიფიკაციო შეჯიბრებებში გამოსვლა ვერ მოასწრო, სწორედ ამის გამო იგი მხოლოდ პირად ასპარეზობაში დაუშვეს.

კვირიდან კვირამდე

„იზვესტია" — 14 ივლისი. „ჩოგბურთის ახალი მოლოდინი". დამთავრდა უიმბლდონის ტურნირი, მაგრამ საჩოგბურთო სეზონი გრძელდება. მკითხველებს ესაუბრება სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის წევრი ბ. ფომენკო.

„კომსომოლსკაია პრავდა" — 14 ივლისი. „ცელავენ მინდორზე... მოთამაშეება". ინტერვიუ წლევანდელი საფეხბურთო სეზონის ერთ-ერთ ყველაზე უფრო უხეშ მოთამაშესთან, მოსკოვის „დინამოს" მცველ ალექსანდრე ნოვიკოვთან.

„ოხ, ეს კალენდარი". ვინ შეადგინა სრულუფოელ სატურნირო კალენდარს? ასეთი კითხვით მიმართავს გაზეთი სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას.

„ხოვეტსკი სპორტი" — 14 ივლისი. მომავალი სასწავლო წლიდან ძალაში შედის ახალი დებულება ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლებისა და ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლის შესახებ. ამ საკითხზე გაზეთის კორესპონდენტს ესაუბრება საკავშირო სპორტსახკომის სპორტული რეზერვების საძმართველოს უფროსი ვ. ბაუერი წერილში „არავინ რომ არ დარჩეს ნაწყენი...".

17 ივლისი. „შეკითხვა მეტია ვიდრე პასუხი". საფეხბურთო ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტურს მიმოიხილავს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. სვეიდოვი.

18 ივლისი. რუბრიკის „გულახდილი საუბარი" სტუმარია ოლიმპიური ჩემპიონი, შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში იური ვარდანიანი.

„უოცნებოდ მოსაწყენია". გაზეთის კორესპონდენტი დ. კაკაბაძე ესაუბრება ივნისის საუკეთესო ფეხბურთელს არმინას ნარბეკოვასს.

პრიზები—ულიდერებოდ

ქართველ ბატუტისტთა წარმატებებს საკავშირო შეჯიბრებებში ძარგი ხანია შეეჩვიეთ, ამიტომ არ გაგვკვირვება მინსკში გამართულ „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე 6-დან 5 ოქროს მედალი ჩვენი რესპუბლიკის ბატუტისტებმა რომ მოიპოვეს. ამ ცნობამ უფრო იმიტომ გაგვაბარა, რომ ჩვენმა ბატუტისტებმა ამ წარმატების ულიდერებოდ მიაღწიეს. საქმე ისაა, რომ საქართველოს წამყვან ბატუტისტებს რუსუდან ხოფერიას, ანა დოღონაძეს, ლია ბენდიანიშვილს და მიხეილ პელივანიდის საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში მოსკოვში ამზადებდნენ ესპანეთის ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებისთვის.

ერთი სიტყვით, ჩვენი გუნდი ლიდერთა არყოფნამ უკან ვერ დახია. მართალია, ამ საზოგადოებრივ სამგზის ჩემპიონმა ნინო შელაძინმა სავალდებულო პროგრამაში ასპარეზობისას შეცდომა დაუშვა და ფინალის მიღმა დარჩა, სამაგიეროდ, თავი გამოიჩინა სვეტლანა გულაიევამ (თბილისის XI საშ. სკოლა). სვეტლანამ ლმაბად, დაჯერებლად ძალსრულა ვარჯიშ და მეოთხე ოქროს ქულით გაუსწორა მეორე ადგილზე გასულ სვეტლანა ელენა პოპოვას. ინა წიკლაურმა მესამე ადგილი დაიკავა. ვაჟებიდან პროგრამას კარგად გაართვა თავი ზაზა აბრამიშვილმა (რუსთავის მე-18 საშუალო სკოლის მოსწავლე). იგი მხოლოდ საკავშირო ნაკრების წევრ ტოლიატელ მიხეილ კატუბაევს ჩამორჩა და მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა.



ბოგონათა სინქრონულ ხტომებში საკავშირო პირველობის მრავალგზის პრიზიორებმა ნინო შერმაზინმა და ინა წიკლაურმა ოქროს მედლები მოიპოვეს. მეორე ადგილზეც თბილისელი ბატუტისტები სვეტლანა გულაიევა და ინგა მენთეშაშვილი გავიდნენ. მათ სამი ქულით გაუსწრეს მესამე ადგილზე გასულ ბელორუს სპორტსმენებს.

სინქრონულ ხტომებში ვაჟთა შორის პირველი ადგილი ჩვენმა სპორტსმენებმა ზაზა აბრამიშვილმა და გიორგი კაპანაძემ დაიკავეს.

ამ შეჯიბრებაზე ჩვენმა ხუთმა ბატუტისტმა: ზაზა აბრამიშვილმა, გიორგი კაპანაძემ, დავით კანდელაკმა, ზურაბ ბიჭენოვმა და მალხაზ იგითხანიანმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

საქართველოს ნაკრები მთლიანად ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული დოსტატების რესპუბლიკური სკოლის (დირექტორი მზია ჯუღელი) მოსწავლე სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადეს: თენგიზ ხუდოევმა, ზაურ სულაშვილმა, ევრაპიდ გალჩევმა და ვალერი ჩხაბრიძემ.

ჯემალ კასრაძე.

ტიროლიიდან კავკასიონამდე...

ეს გრძელი „ხიდი“ ამ ორ მთიან მასივს შორის გაიდო. ასეთ ხიდებს ადამიანთა შეგობრობა აღულაბებს, მაგრამ როცა შეგობრები მთისა და მთამსვლელობის მოყვარულნი არიან, დულაბი უფრო გამძლე და მკვიდრია. თბილისს დაძმობილებულ ქალაქებს შორის ერთ-ერთია ტიროლიის დედაქალაქი ინსბრუკი, რომლის წარმომადგენლები ამ ორი ქალაქის ურთიერთთანამშრომლობისა და შეგობრობის განმტკიცების მიზნით ახლახან ჩამოვიდნენ თბილისში. ინსბრუკელ მთამსვლელთა 14-კაციან ჯგუფს ინსბრუკის შუნიციპალიტეტთან არსებული სპორტული საქმეების კავშირის თავმჯდომარე ენგერბერტ ჰაუშილდი ხელმძღვანელობს, უშუალოდ ჯგუფის სპორტულ საქმიანობას კი სამთო-სამაშველო რაზმის უფროსი რუდოლფ ჰინგერეგერი უდგას სათავეში.

სტუმრებს განზრახული აქვთ კავკასიონის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალ მყინვარწვერზე ასვლა. მანამდე კი ჰაუსებს ეწვევიან.

16 ივლისს საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბში მოეწყო შეხვედრა. ავსტრიელ ალპინისტებს გააცნეს ქართველი ვეტერანი მთამსვლელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები კაკო შარი, დიმიტრი ობოლაძე, საკავშირო კონკურსების გამარჯვებულები ზურაბ ახვლედიანი, ლიმიტრი შარაშენიძე, ტარიელ ლუკაშვილი, ომარ ბერაძე, ახალგაზრდა მთამსვლელები. სტუმრებმა დაათვალიერეს ალპური კლუბის მუზეუმი. შეხვედრისას ითქვა, რომ ავსტრიელ და ქართველ მთამსვლელთა შეგობრობა მომავალში უფრო განმტკიცდება. სტუმრებმა კლუბის მუზეუმს გადასცეს თანამედროვე ალპინისტური აღჭურვილობის რამდენიმე კომპლექტი, რომელიც სპეციალურ კუთხეში გამოიფინება.

გუშინწინ დილით ინსბრუკელმა მთამსვლელებმა კავკასიონის მწვერვალებისაკენ აიღეს გეზი.

ბ. უნგიაძე.

საშაადრაკო კომპოზიცია

კომპოზიცია და სპორტი

კომპოზიციის სპორტულმა, საშეჯიბრო მხარემ თავი იჩინა XIX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც საშაადრაკო პერიოდიკა შეიქმნა. პირველი შეჯიბრის მოწყობის იდეა ინგლისელ მოშაადრაკე ჰოვარდ სტაუნტონს ეკუთვნოდა, რომელმაც 1851 წ. ლონდონის საერთაშორისო ტურნირის აღსანიშნავად პრობლემისტების (ამოცანის შემდგენელთა) კონკურსის ჩატარებაც განიზრახა. მასში მხოლოდ მისი თანამემამულენი მონაწილეობდნენ. ხოლო პირველი საერთაშორისო კონკურსი ლონდონის ყოველკვირეულმა „ერამ“ მოაწყო 1856 წ., სადაც ავსტრიელმა კონრად ბაიერმა გაიმარჯვა.

შემდგომში პრობლემისტებისა და ეტიუდისტების კონკურსები შეჯიბრების პოპულარულ მიმართულებად იქცა. მათ ხშირად ატარებენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საშაადრაკო და სხვა ორგანიზაციები და პერიოდული გამოცემები. არსებობს კონკურსის განსხვავებული ფორმები: სისტემატური (წლიური, ტრადიციული), სპეციალური (საერთაშორისო, საკავშირო, რესპუბლიკური და ა. შ.), საკვალიფიკაციო (დამწყებთათვის, ოსტატის წოდების მოსაპოვებლად), ღია, დახურული (როცა ავტორთა ვინაობა მსაჯისათვის უცნობია), თემატური (სადაც მსაჯი იძლევა თემატურ დავალებას), დასწრებული (ბლიც-კონკურსი) და სხვ. ხშირად კონკურსები რომელიმე ღირსშესანიშნავ მოვლენას ან თარიღს (ხსოვნის, საიუბილეო და სხვ.) ეძღვნება.

ი. დობრუსკი, 1902



შამათი 4 ხვლაში

მოგვყავს ჩეხური საამოცანო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის ამოცანა, რომელმაც ჩვენი საუკუნის დამდეგს მოსკოვის საშაადრაკო ჟურნალ „შახმატნოე ობოზრენიეს“ მიერ გამოცხადებულ თემატურ კონკურსზე I პრიზი დაიმსახურა. თემატური დავალება იყო შედგენილიყო ოთხსვლიანი ამოცანა, რომელშიც თეთრ ლაზიერს დაფის ოთხივე კუთხე უნდა შემოევლო. რადგან ამოცანის შინაარსი მკითხველს გავაცანით, მათ არ უნდა გაუჭირდეთ მისი ამოხსნა.

კომპოზიტორთა შეჯიბრების ერთ-ერთი პოპულარული სახეა გუნდური მატჩი ან ტურნირი. ეს შაექრობა იმ ავტორთა კოლექტივებს შორის მიმდინარეობს, რომლებიც ერთი ქალაქის, რესპუბლიკის ან ქვეყნის სახელს იცავენ. შეჯიბრება იმართება რამდენიმე დაფაზე საკომპოზიციო ჟანრების (ორსვლიანი, სამსვლიანი, მრავალსვლიანი ამოცანები, ეტიუდები, თვითშამათი, ნადიმამათი და ა. შ.) მიხედვით. ყოველ დაფაზე თავისი თემატური დავალებაა მოცემული. დაფებზე შეჯამებული ნაწარმოებები გუნდს ჩასათვლელ ქულებს აძლევს.

ყოველი ავტორისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირად ჩემპიონატებში მონაწილეობა, სადაც გარკვეული წლების მანძილზე გამოქვეყნებული მისი საუკეთესო ნაწარმოებების საერთო შეფასება ხდება ცალკეული საკომპოზიციო ჟანრების მიხედვით. ჩვენს ქვეყანაში ასეთი პირველობები 1947 წლიდან სისტემატურად ეწყობა. ამ ურთულეს სპორტულ შეაქრობაში წარმატებით გამოდიან საქართველოს საშაადრაკო კომპოზიტორებიც. სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირის ჩემპიონები იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები: ჰ. კასპარიანი, გ. ნადარეიშვილი, დ. გურგენიძე (ეტიუდებში), ვ. სვეჩნიკოვ, ი. კრიხელი (მრავალსვლიან ამოცანებში).

საქართველოში საშაადრაკო კომპოზიტორთა ბევრი საუურადღებო შეჯიბრება ჩატარებულა. მათ შორის პირველი კონკურსი 1930 წ. მოეწყო ამოცანების შედგენაში. ხოლო 50-იანი წლებიდან დღემდე სისტემატურად გამართულმა საეტიუდო კონკურსებმა დიდად შეუწყო ხელი ამ ურთულესი და წამყვანი საკომპოზიციო დარგის საყოველთაო განვითარებას. როგორც ცნობილია, ამჟამად ჩვენთან მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო კონკურსი ეტიუდების შედგენაში — „ი. ჭავჭავაძე —150“, რომელშიც, ჟიურის ინფორმაციით, მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი ეტიუდისტი მონაწილეობს.

„სასინჯი ქვა“

ჩვენი გაზეთის მკითხველების გარკვეული ნაწილი სიამოვნებით და წარმატებით ხსნის „კომპოზიციის კუთხეში“ გამოქვეყნებულ ამოცანებს. ეს შემოქმედებითი აქტიურობა მისასალმებელია. კარგი იქნება, ამოხსნილ ამოცანებს კომენტარებიც თან ერთვოდეს, რათა გავითვალისწინოთ ჩვენი კორესპონდენტების აზრები და სურვილები. ზოგიერთი მკითხველი გვთხოვს, რომ უფრო ძნელად ამოსახსნელი ნაწარმოებები დავბეჭდოთ. ყოველთვის ამის გაკეთება მიზანშეწონილი არ არის, რადგან ჩვენს რუბრიკაში მოთავსებული კომპოზიციების ძირითადი დანიშნულება საშაადრაკო ხელოვნების ფართო პოპულარიზაციაა.

ხელმძღვანელი ვაკეთებ ნეიძე

თუმცა, რასაკვირველია, ხანდახან გამონაკლისს დაშვებაც შეიძლება მათთან, ვასაც პრობლემისტს ან ეტიუდისტს მიერ შენიშნული ჩანაფიქრი გაჩნია სპორტულზე ინტერესი აღძრავენ. დღეს გთავაზობთ უსახელო ხუთსვლიან ამოცანას, რომელიც ერთგვარი „სასინჯი ქვა“ უნდა იყოს ჩვენი ამომხსნელებისათვის.



შამათი 5 ხვლაში

პასუხთან ერთად მოგვწერეთ, რამდენად მოგეწონათ და გაგიძნელდათ მისი ამოხსნა. თქვენი საინტერესო კომენტარები დაიბეჭდება.

გისურვებთ წარმატებას!

ამოხსნა

„ლელოს“ 5 ივლისის ნომერში დაბეჭდილი ა. ჰოპანდოპულოს შვიდსვლიანი ამოცანის ამოხსნა: 1. c5! dc 2. d6 c4 3. d7 c3 4. d8ჯ! c2 5. ჯg6 c1c 6. ჯ:c1 და 7. ჯb2X. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც სხვებზე ადრე გამოგვიგზავნა სწორი პასუხი: ქეთინო კანდელაკი (ძვ. ანაგა, სიღნაღის რ), მზევინარ ცაავა, ფატი ქაქუთია, რ. ხარბედია (ყველა — ზუგდიდი), ვ. ბოჭორიშვილი (თერჯოლა), რ. გურული (ქვ. საქარა, ზესტაფონის რ.), რ. კახიძე, მ. დიასამიძე, მ. მალაკიდი (ყველა — ბათუმი), ს. სუბელიანი, ა. წეველიძე, ე. კუტალია, ტ. გიგუაშვილი, ო. მამულაშვილი (ყველა — თბილისი).

„სპორტპროგნოზი“: 30-ე ტირაჟი (25-27 ივლისი).

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
1. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი)	25.VII	70	20	10
2. „შახტიორი“ (დონეცკი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)	25.VII	50	30	20
3. „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	25.VII	20	50	30
4. „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „გურია“ (ლანჩხუთი)	25.VII	70	20	10
5. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი)	25.VII	40	50	10
6. „ალგირისი“ (ვილნიუსი) — „არარატი“ (ერევანი)	25.VII	60	30	10
7. „დინამო“ (მინსკი) — „ნეფტჩი“ (ბაქო)	25.VII	50	40	10
8. ცსკა — „დინამო“ (კიევი)	26.VII	10	60	30
სსრ კავშირის ჩემპიონატი გალიის ჯოკეიში (ქალთა გუნდები)				
9. „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	26.VII	70	20	10
10. ფიზკულტურის ინსტიტუტი (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი)	26.VII	60	30	10
		60	30	10
11. „ტაურასი“ (შაულიაი) — „რიტმი“ (გროდნო)	26.VII	70	20	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში (უმაღლესი ლიგა)				
12. „შენებელი“ (ქუთაისი) — „ავიატორი“ (კიევი)	27.VII	30	30	40
13. „ლოკომოტივი“ (ნ.ისკოვი) — სსა (მოსკოვის ოლქი)	27.VII	20	20	60

ფელეტონი - ჟურნალისტი



ტალინი. სსრ კავშირისა და გფრ-ის ახალგაზრდა მრავალჭიდელთა ტრადიციული შეხვედრა საბჭოთა ძძლეოსნების დაძაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა. ვაჟთა შორის ათეულში ყველას ვილნიუსელმა რიშარდ მალახოვსკიმ აჯობა — 7856 ქულა. ქალთა შეიდეულში კი ვოლგოგრადელმა სვეტლანა ბიატროვამ მოიგო — 6189 ქულა.

ციხეერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 19 ივლისი. რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.15 (1);** სტუდენტთა მსოფლიო თამაშები — **17.35 (2);** ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრება — **21.15 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **22.40 (1).**

20 ივლისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **9.30 (1);** სტუდენტთა მსოფლიო თამაშები — **14.10 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **21.15 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 19 ივლისი. საქართველოს საფეხბურთო პირველობა — **13.55;** საფეხბურთო მიმოხილვა — **22.40.**

20 ივლისი. ჭაბუკ კალათბურთელთა საერთაშორისო შეხვედრა: საქართველო—აშშ — **17.50;** სპორტული სკოლების საკავშირო თამაშების წინ — **18.20.**

კალათბურთის ვარსკვლავები

რიგრიგ „ლელოს“ მკითხველმა იცის, კალათბურთის ეროვნული ასოციაციის საუკეთესო მოთამაშედ 1987 წელს [illegible]ელეს „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“-ს დაცველი მაიკ ჯონსონი (733 ხმა), რომელმაც საკმაო [illegible]ლიდური უპირატესობით აჯობა მეორე ადგილზე გასულ მაიკლ ჯორდანს („ჩიკაგო ბულსი“ — 449 ხმა) და მესამე ადგილზე გასულ ლარი ბერდს („ბოსტონ სელტიქსი“ — 271). საინტერესოა, კიდევ ვის მისცეს ხმა ჟურნალისტებმა.

4. კევინ მაჰალეი — „ბოსტონ სელტიქსი“ — 254. 5. დომინიკ უილკინსი („ატალანტა ჰაუსი“)— — 128. 6. შარლ ბარკლეი („ფილადელფია“) — 119. 7. აკიმ ოლაჯუონი („ჰიუსტონ როკეტსი“) — 28. 8. ისაია ტომასი („დეტროიტ პისტონსი“) — 17. 9. ლაფაეტ ლაფერი („დენვერი“) — 11. 10. მოუზეს მელოუნი („ვაშინგტონი“) — 9. 11. სტივ ჯონსონი („პორთლენდ თრეილ ბლეიზი“) — 4. 12-13. კარლ მელოუნი („უტაჰ ჯაზი“) — და რობერტ პარიში („ბოსტონ სელტიქსი“) — 3-3. 14. ალექს ენგლიში („დენვერი“) — 2. 15-17. მარკ აგირე და როლანდო ბლაკმანი (ორივე—„დალას მავერიქსი“) და ჯო ბერი კეროლი („გოლდენ შტატ უორიორსი“)—1-1. (ეს უკანასკნელი ერთი სეზონი — 1984-85, თამაშობდა მილანის „ტრეისერში“ — მ. კ.).

ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება გავაცნოთ წინა წლებში პროფესიული კალათბურთის სეზონის საუკეთესო მოთამაშეებიც:

1956. ბობ პეტიტი („სენტ ლუისი“).

1957. ბობ კოუსი („ბოსტონ სელტიქსი“).

1958. ბილ რასელი („ბოსტონ სელტიქსი“).

1959. ბობ პეტიტი („სენტ ლუისი“).

1960. უილტ ჩემბერლენი („ფილადელფია“).

1961-63. ბილ რასელი („ბოსტონ სელტიქსი“).

1964. ოსკარ რობერტსონი („ცინცინატ როიალზი“).

1965. ბილ რასელი („ბოსტონ სელტიქსი“).

1966-68. უილტ ჩემბერლენი („ფილადელფია“).



1969. ვეს უნსელდი („ბალტიმორი“).

1970. უილის რედი („ნიუ-იორკ ნიკერსბოკერსი“).

1971-72. ქერიმ აბდულ ჯაბარი („მილვოუკ ბაქსი“).

1973. დეივ კოუენსი („ბოსტონ სელტიქსი“).

1974. ქერიმ აბდულ ჯაბარი („მილვოუკ ბაქსი“).

1975. ბობი მაკადუ („ბუფალო“). (ამჟამად თამაშობს მილანის „ტრეისერში“ — მ. კ.).

1976-77. ქერიმ აბდულ ჯაბარი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“).

1978. ბილ უოლტონი („პორთლენდ თრეილ ბლეიზი“).

1979. მოუზეს მელოუნი („ჰიუსტონ როკეტსი“).

1980. ქერიმ აბდულ ჯაბარი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“).

1981. ჯულიუს ირვინგი („ფილადელფია“).

1982. მოუზეს მელოუნი („ჰიუსტონ როკეტსი“).

1983. მოუზეს მელოუნი („ფილადელფია“).

1984-1986. ლარი ბერდი („ბოსტონ სელტიქსი“).

1987. მაჯიკ ჯონსონი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“).

როგორც ხედავთ, ყველაზე მეტჯერ, ექვსჯერ, კალათბურთის ეროვნული ასოციაციის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულია ქერიმ აბდულ ჯაბარი. ხუთჯერ დასახელეს ბილ რასელი, ოთხჯერ — უილტ ჩემბერლენი. მხოლოდ სამმა კალათბურთელმა შეძლო №1 ყოფილიყო ზედიზედ სამი წლის განმავლობაში. ესენი არიან ბილ რასელი, უილტ ჩემბერლენი და ლარი ბერდი. სამ შემთხვევაში დასახელეს საუკეთესოდ დამცველი: ბობი კოუსი, ოსკარ რობერტსონი და მეჯიკ ჯონსონი.

მასალა მოამზადა
ვერაბ კალანდაძემ.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„ვერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 00312

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.